ნ ი. ხარებავას

საცნობად და საქმეში გასათვალისწინებლად

ვ. აბაშიძე
04.05.2015 წ.

# კომპანია "ბოლნელი"

# bolneli

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

შპს სამაუწყებლო კომპანია "ბოლნელის" განაცხადი კერძო

საერთო რადიო მაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად

შპს სამაუწყებლო კომპანია "ბოლნელი" ს/კ 225398370,რომელსაც გაცემული აქვს ავტორიზაცია და არის მაუწყებელი,გამოთქვამს სურვილს და შეტყობინებას მონაწილეობა მიიღოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში,რომელიც დაგეგმილია 2015 წლის 9ივნისს,კერძო საერთო რადიო მაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად ქბოლნისში FM 107.3 ტალღაზე.

სამაუწყებლო კომპანია "ბოლნელი" არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო.მისი იურდიული მისამართია: ქბოლნისი სულხან-საბას ქN39.რეგისტრაციის თარიღია 2009 წლის 7 ივლისი,რეგისტრაციის მოწმობის სერია 445/039. შპს სამაუწყებლო კომპანია "ბოლნელის"დამფუძნებელია ოლეგი უგრეხელიძე, დაბადებული 15.12.1957 წელს,მცხოვრები ქბოლნისში რუსთაველის ქ№7,პროფესიით ჟურნალისტ-ფილოლოგი, წილი 100% (იხილეთ ამონაწერი რეესტრიდან და შესაბამისობის დეკლარაცია).

გვსურს მონაწილეობა მივიღოთ კერძო საერთო რადიო მაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებელ კონკურსში, ლიცენზიის სახეობა-კერძო მაუწყებლობა, ლიცენზიის სახეობა-საერთო მაუწყებლობა , მაუწყებლობის გავრცელების ზონა-ქბოლნისი, მაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში მინიმუმ 16 საათი,კომპანია რადიო მაუწყებლობას დაიწყებს ლიცენზიის მიღებიდან 2-3 თვეში.

განცხადებას თან ერთვის : სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი,ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირების რეესტრიდან, შესაბამისობის დეკლარაცია, ცნობა განცხადებული საწესდებო კაპიტალის და მისი განაღდებული ნაწილის,აქტივებისა და პასივების შესახებ,ინფორმაცია საწესდებო კაპიტალის და აქტივების საკუთრების და წარმოშობის შესახებ,განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმა და ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ,ინფორმაცია პროგრამის გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების შესახებ, განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია,სალიცენზიო გადასახადის 10%გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

ღრმა პატივისცემით

ოლეგი უგრეხელიძე

დირექტორი

შპს სამაუწყებლო კომპანია

"ბოლნელი"

ქბოლნისი სულხან-საბას ქN39 T 514 41 00 22

გ-1/265815
04 05 15
1+16

| | შესაბამისობის დეკლარაცია | დანართი N1 |
|---|---|---|
| 1 | ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები | შპს სამაუწყებლო კომპანია "ბოლნელი" 225398370 |
| 2 | სამაუწყებლო ლიცენზი(ებ)ის/ ავტორიზაციის ნომერი (ივსება მხოლოდ ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის მიერ) | RB-1141 |
| 3 | მონაცემები ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისა და ორგანოების შესახებ | ოლეგი უგრეხელიძე -დირექტორი |
| 4 | ვადასტურებ ხელმოწერითა და ამ დეკლარაციის მე-5 პუნქტის მონაცემებით, რომ ლიცენზიის მაძიებელი/ავტორიზაციის მსურველი პირი, ან/და ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრეები არ არიან:<br>ა) ადმინისტრაციული ორგანო;<br>ბ) ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი, სხვა საჯარო მოხელე;<br>გ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი;<br>დ) პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი;<br>ე) ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირი;<br>ვ) იურიდიული პირი, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი. | დირექტორი:ოლეგი უგრეხელიძე |
| 5 | ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის, ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის ბენეფიციარი მესაკუთრეების საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და მათ საკუთრებაში არსებული წილების თაობაზე. | ოლეგი უგრეხელიძე 100% პ/ნ 10001017006 |

# საქართველო
# ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

1100 ქ.ბოლნისის, სულხან-საბა ორბელიანის ქ.№106
ტელ.: 0 (358) 22-29-29; ფაქსი 0(358) 22-25-00

N 12/64
01/05/2015

64-12-2-201505011136

ც ნ ო ბ ა

ეძლევა მოქალაქე ოლეგ უგრეხელიძეს პირადი N 10001017006 მცხოვრები ქალაქი ბოლნისი რუსთაველის ქუჩა N7 მასზედ რომ იგი ნამდვილად არ არის ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და შესაბამისად არ იკავებს საკრებულოში პოზიციას.

**თამაზ ჟორჟოლიანი**

**საკრებულოს თავმჯდომარე**

# სამაუწყებლო კომპანია "ბოლნელი"

bolneli

ცნობა

შედგენილია მასზედ, რომ 2015 წლის 4 მაისის მდგომარეობით შპს სამაუწყებლო კომპანია "ბოლნელი"-ს აქტივები შეადგენს შესაბამისად:

1.ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება –20990 ლ.

2.ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშზე –11889,25ლ.

დამატებით გაცნობებთ, რომ ამავე პერიოდისათვის კომპანიას არ გააჩნია ვალდებულებები: საბიუჯეტო გადასახადების კუთხით, პერსონილის წინაშე და კრედიტორების წინაშე.

ცნობა შედგენილია მოთხოვნის ადგილზე წარსადგენად.

შპს სამაუწყებლო კომპანია

"ბოლნელი"-ს დირექტორი: თ.უგრეხელიძე

ბოლნისი სულხან-საბას ქ№39 T 514 41 00 22

დანართი N 2

# ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია

| |
|---|
| იურიდიული პირის დასახელება : შპს სამაუწყებლო კომპანია "ბოლნელი" |
| დეკლარაციის შევსების თარიღი: 17.04.2015 |

| |
|---|
| რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: რბ№445/039 07.07.2009 |
| საიდენტიფიკაციო მონაცემები: 225398370 |

მისამართი და ტელეფონი: ქ.ბოლნისი სულხან - საბას ქ№ 39 514 410022

| მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა მონაცემები | | | |
|---|---|---|---|
| მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა ჩამონათვალი | რეგისტაციის ნომერი და თარიღი (იურიდიულ პირთათვის) | დაბადების ადგილი და თარიღი (ფიზიკურ პირთათვის) | საიდენტიფიკაციო მონაცემები |
| ოლეგი უგრეხელიძე | რბ№445/039 | | 225398370 |
| | 07.07.2009 | | |
| | | | |
| | | | |

| მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება | | | |
|---|---|---|---|
| ქონების მესაკუთრის ვინაობა | ქონების სახეობა | ქონების ადგილმდებარეობა, საერთო ფართობი | თუ ნივთი საერთო საკუთრებაში იმყოფება, მიუთითეთ თანამესაკუთრეები |
| ოლეგი უგრეხელიძე | სასოფლო-სამეურნეო მიწა | ქ.ბოლნისი 1500 კვ.მ | — |
| | | | |
| | | | |
| | | | |

| მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება (ფასიანი ქაღალდების, საბანკო ანგარიშების ან/და შენატანის ,ნაღდი ფულადი თანხის გარდა), რომელთაგან თითოეულის ღირებულება აღემატება **10 000** ლარს | | |
|---|---|---|
| ქონების მესაკუთრის ვინაობა | ქონების სახეობა | ქონების დეტალები |
| ოლეგი უგრეხელიძე | — | — |
| | | |

| მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები | | | | |
|---|---|---|---|---|
| მესაკუთრის ვინაობა | ფასიანი ქაღალდის ემიტენტი | ფასიანი ქაღალდის სახეობა | ფასიანი ქაღალდის ნომინალი | ფასიანი ქაღალდების რაოდენობა |
| ოლეგ იუგრეხელიძე | — | — | — | — |
| | | | | |
| | | | | |

| საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლება აქვთ მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორებს/აქციონერებს | | | |
|---|---|---|---|
| ანგარიშის ან/და შენატანის განმკარგავი პირის ვინაობა (სახელი, გვარი) | საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულების სახელწოდება | ანგარიშის ან/და შენატანის სახეობა | ანგარიშზე ან/და შენატანზე არსებული ნაშთი (კრედიტი ან დებეტი) |
| ოლეგი უგრეხელიძე | საქართველოს ბანკი | მიმდინარე | 4.05.2015 –თვის 11889,25 |
| | საქართველოს ბანკი | მიმდინარე | 4.05.2015–თვის 557,64 |
| | ლიბერთი ბანკი | მიმდინარე | 4.05.2015-თვის 1319,5 |
| | | | |

| მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხა რომლის ოდენობა აღემატება **4 000** ლარს | |
|---|---|
| ფულადი თანხის მესაკუთრის ვინაობა | ფულადი თანხის ოდენობა შესამის ვალუტაში |
| ოლეგი უგრეხელიძე | 15700 ლარი |
| | |

| მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა მონაწილეობა საქართველოში ან სხვა ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობაში | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილის პირის ვინაობა | საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი | საწარმოს საქმიანობაში მონაწილეობის ფორმა | საწარმოს მარეგისტრირებელი ორგანო და რეგისტრაციის თარიღი | სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის დროის მონაკვეთი | საწარმო საქმიანობით წინა წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი |
| ოლეგი უგრეხელიძე | "ოლეგი უგრეხელიძე" ქ.ბოლნისი რუსთაველის 7 | ინდ.მეწარმე დირექტორი | 14.11.2005რუსთავის საგადასახადო ინსპექცია -ბოლნისი | 14.11.2005 –დან დღემდე | 241911 ლარი |
| | | | | | |

მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა მიერ საქართველოში ან სხვა ქვეყანაში შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა

| სამუშაოს შემსრულებელი პირის ვინაობა | სამსახური, რომელშიც პირს უკავია თანამდებობა ან ასრულებს სამუშაოს | თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი | სამუშაოს შესრულებით წინა წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი |
|---|---|---|---|
| ოლეგი უგრეხელიძე | — | — | — |
| | | | |
| | | | |

# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N71/01/15

1 მაისი 2015 წელი

ქ. ბოლნისი

ერთის მხრივ ბოლნისის მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებლის გოგი მეშველიანის სახით და მეორეს მხრივ შპს სამაუწყებლო კომპანია „ბოლნელი" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ოლეგ უგრეხელიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, N SPA150011004 გამარტივებული ელექტრონული ტენედერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " ( შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. "ტექნიკური დავალება" - N SPA150011004 გამარტივებული ელექტონული ტენედერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სატელევიზიო მომსახურება (პირდაპირი ეთერის უზრუნველყოფა).

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში. (დანართი N1)

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 22560 (ოცდაორიათას ხუთას სამოცი) ლარს, დღგ-ს გარეშე.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. გარდა დღგ-სა.

3.3. ფასების ცხრილი -- დანართი N2.

## 4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ყოველი თვის ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

შემსყიდველი — მიმწოდებელი

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს ეტაპობრივ მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. ეტაპობრივ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

--გაწეული მომსახურების დასახელება;

--გაწეული მომსახურების მოცულობა;

--გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - თამარ ხოფერია -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას განახორციელებს ხელშეკრულების გაფორმებიდან -- 2015 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით, ტექნიკური დავალების მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკურ დავალებაში დადგენილი პრინციპების დაცვით.

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედე იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულ პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგო შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულე 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვე მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონუ საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილე მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობ გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენ აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებებ შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/ დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკის ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებ დასრულებისთანავე.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზი შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის ი იანვრის ჩათვლით.

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| ბოლნისის მუნიციპალიტეტი | შპს სამაუწყებლო კომპანია „ბოლნელი“ |
| მის: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის 106 | ქ. ბოლნისი, ს.ს ორბელიანის ქ. N39 |
| ს/კ 225393963 | ს/კ 225398370 |
| სს „ლიბერთი ბანკი“-ს ბოლნისის ფილიალი | სს „ საქართველოს ბანკი“ |
| ბ/კ LBRTGE22 | ბ/კ BAGAGE22 |
| ა/ა GE65LB0120184309307000 | ა/ა GE52BG0000000254310400 |
| მუნიციპალიტეტის გამგებელი | დირექტორი |
| გოგი მეშველიანი | ოლეგ უგრეხელიძე |

# ტექნიკური დავალება

1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს სატელევიზიო მომსახურების (პირდაპირი ეთერი) შესყიდვა, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის ინფორმირებას ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) წარმომადგენელთა მიერ მუნიციპალიტეტში განხორციელებულ და განსახორციელებელ პროექტების შესახებ. ამავდროულად მოსახლეობის მიერ პრობლემების შესახებ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებამდე ინფორმაციის მიტანას.
<u>მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</u>
2. მომსახურების გაწევის ვადებია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით.
3. საეთერო დროის გამოყოფა უნდა განხორციელდეს თვეში ერთხელ ყოველი თვის ბოლო ან/და ბოლოსწინა ორშაბათ დღეს, (25,05,2015; 29,06,2015; 27,07,2015; 24,08,2015; 28,09,2015; 26,10,2015; 30,11,2015; 21,12,2015). 19სთ-დან 21სთ-მდე პერიოდში. (პირდაპირი ეთერის დაწყების ზუსტი დრო შემოთავაზებულ იქნას პრეტენდენტის მიერ დანართი N2 მეშვეობით).
4. ტექნიკური დავალების 2,1 პუნქტში მოთხოვნილი თარიღები შესაძლებელია შეიცვალოს <u>ორმხრივი შეთანხმების</u> საფუძველზე, თარიღის დადგომამდე მინიმუმ 3 (სამი) დღით ადრე.
5. თვითოეული საეთერო დროის ხანგძლივობა შეადგენს -- 60 (სამოცი) წუთს;
6. <u>მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:</u>
   <u>6.1</u> მეორე დღეს გადაცემის გამეორება მინიმუმ ერთხელ, 10:00სთ-დან 23სთ-მდე პერიოდში;
   <u>6.2</u> პირდაპირი ეთერის დაანონსება, მის დადგომამდე, მინიმუმ ორი დღით ადრე, დღეში მინიმუმ სამჯერ.
   <u>6.3</u> ვიდეოჩანაწერების დაარქივება.
   <u>6.4</u> ტექნიკურად გამართული სატელეფონო ჩართვები.
   <u>6.5</u> ტექნიკურდ გამართული პირობების მოწყობა პირდაპირი ეთერის უზრუნველსაყოფად.
   6,6 კვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფა პირდაპირი ეთერის უზრუნველსაყოფად.
7. <u>პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ტექნიკურ პირობებს:</u>
   <u>7.1</u> უნდა გააჩნდეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ საზღვრებში მეტრულ ან დეციმეტრულ სიხშირეზე ტრანსლაციის ლიცენზია ან შესაბამისი ლიცენზიის გამოყენების უფლება.
   <u>7.2</u> მაუწყებლობა უნდა ფარავდეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მინიმუმ 80%-ს.
8. ანგარიშწორების პირობები:
   <u>8.1</u> სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა **ხარჯისა და** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა **გადასახადის** გათვალისწინებით. გარდა დღგ-სა (*)
   <u>8.2</u> (*) სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაციის განფასების ფორმა (დანართი N2) შედგენილია <u>დ.ღ.გ-ს გარეშე. (იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოადგენს ცნობას შემოსავლების სამსახურიდან დ.ღ.გ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ, ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებულ იქნება მის მიერ ხარჯთაღრიცხვით/დაზუსტებული ხრჯთაღრიცხვით დაფიქსირებული საბოლოო ჯამური ფასის შესაბამისი დ.ღ.გ.) (შემოსავლების სამსახურიდან გაცემული ზემოაღნიშნული ცნობა გაცემული უნდა იყოს -- კონკრეტული ტენდერის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება" სტატუსის მინიჭებიდან -- ხელშეკრულების გაფორმების დღემდე პერიოდში).</u>
   <u>8.3</u> ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.
   <u>8.4</u> ანგარიშწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).
   <u>8.5</u> ანგარიშსწორება განხორციელდება ეტეპობრივად, ყოველი თვის ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.
   <u>8.6</u> საავანსო ანგარიშწორება არ გამოიყენება.

დანართი №2

## ფასების ცხრილი

| № | შესასყიდი მომსახურების დასახელება | საეთერო დროის სრული ხანგძლივობა (წთ) | ერთეული მომსახურების ფასი | საერთო ფასი | პირდაპირი ეთერის დაწყების ზუსტი დრო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სარეკლამო მომსახურება (პირდაპირი ეთერის უზრუნველყოფა) | 480 | 47 | 22560 | 20:00 |
| | | | სულ | | |

შპს [illegible] ხელმოწერა ბ.ა.

პრეტენდენტი ორგანიზაცია

შენიშვნა: პირდაპირი ეთერის დაწყების ზუსტ დროს პრეტენდენტი [illegible] განისაზღვრის როგორც საეთერო დაწყების დრო, რაც [illegible] ეთერისათვის [illegible] ტექნიკური დავალების მე-3 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწ. ნებით